



10128313895778

www.ecd.court.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
საქართველოს სახელით

№3/62-24 (3/63-24)

4 ნოემბერი, 2024 წელი

წალკის მუნიციპალიტეტში თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მაგისტრატი  
მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუა  
სხდომის მდივანი: ქეთევან გოგიაშვილი-მჭედლიშვილი

მოსარჩელები: 1. ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ (ს/კ 202062427), დამკვირვებელი და წარმომადგენელი ვიქტორ კვიციანი; 2. ა(ა)იპ "საქართველოს მომავლის აკადემიის" (ს/კ 405113755), დამკვირვებელი და წარმომადგენელი ქეთევანი როგავა; 3. ა(ა)იპ "ლია სივრცე კავკასიის" (ს/კ 405186070) დამკვირვებელი და წარმომადგენელი გვანცა საკანელაშვილი; წარმომადგენელი - ჯემალ ჭკადუა. 4. ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, წარმომადგენელი - ნათია ქოქიაშვილი, გიორგი აბულაძე.

მოპასუხეები: 1. #25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისია, წარმომადგენელი - გიორგი ფურცელაძე, ლევან აფრასიძე. 2. #26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისია, წარმომადგენელი - თამარ მეტრეველი, თამარ ღვინიაშვილი, კახარებ ნარეკლიშვილი, ნოდარ მელაშვილი.

მესამე პირები: #25 წალკის საოლქო საარჩევნო ოლქში შემავალი #1 და #32 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები. ასევე, #25 წალკის საოლქო საარჩევნო ოლქში შემავალი - #01; 02; 06; 10; 11; 12; 13; 14; 16; 19; 20; 21; 22; 23; 24; 25; 27 (სულ 17 საარჩევნო უბანი) - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ასევე, #26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო ოლქში შემავალი - #01; 02; 03; 14; 17; 19;20; 21; 22; 27; 29; 30; 33 (სულ 13 საარჩევნო უბანი) - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ასევე, საარჩევნო სუბიექტები: „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“; „კოალიცია ცვლილებებისთვის გვარამია, მელია, გირჩი დროა“; „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“; „ევროპელი დემოკრატები“; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“; „შეცვალე საქართველო“; „საქართველო“; „თავისუფალი საქართველო“; „ტრიბუნა“; „ჩვენ“; „გახარია საქართველოსთვის“; „მემარცხენე ალიანსი“; „ქართველ ერთობა“; „გირჩი“; „ქართული ოცნება“.



დავის საგანი: ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების ბათილობა; საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრების დისციპლინური ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების დაკისრება.

## აღწერილობითი ნაწილი

### 1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. მოსარჩელის განცხადებით. ა(ა)იპ - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდგომში - „საია“) აკვირდებოდა წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების მიმდინარეობას, მათ შორის, იკვლევდა საარჩევნო პროცესში გამოვლენილ შესაძლო დარღვევებს. 2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, მათ შორის ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით 2263 უბანში. საია წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად ესწრებოდა ელექტრონული ტექნოლოგიების სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც ხდებოდა ელექტრონული წესით ხმის მიცემის პროცესების „დატესტვა“, შეხვედრების ორგანიზებას ახორციელებდა ცესკო. ჯერ კიდევ აღნიშნულ შეხვედრებზე გამოიკვეთა პრობლემა იმასთან დაკავშირებით, რომ ირღვეოდა ნების გამოხატვის ფარულობა. სპეციალური მარკერები, რომლითაც უნდა მომხდარიყო საარჩევნო სუბიექტის შესაბამისი გრაფის გაფერადება ტოვებდა ბიულეტენის უკანა მხარეს „გაფერადებული წრის კვალს“, ეს კი ბუნებრივია ცხადს ხდიდა ამომრჩევლის გამოხატულ წებას. საიას მიერ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ცესკოსთვის მიმართული წერილის პასუხად, ცესკომ განმარტა, რომ „შეხვედრებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი არის სატეტსო ვერსია და შესაბამისად კენჭისყრის დღეს გამოყენებული ბიულეტენის ხარისხი იქნება განსხვავებული, რაც უზრუნველყოფს ფარულობის დაცვას ცესკოს პასუხის მიუხედავად, იმ უბნებზე, სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა, კენჭისყრის დღესვე გამოიკვეთა ხმის ფარულობის დარღვევის შემთხვევები, რომლებიც, გაანალიზების შემდეგ აღმოჩნდა იმდენად მასშტაბური, რომ ცხადყო საარჩევნო უფლების უმნიშვნელოვანესი პრინციპის, ხმის ფარულობის მასობრივი დარღვევა. აღნიშნული გამოიხატა იმაში, რომ დაფიქსირებული ხმა ისახებოდა ბიულეტენის უკანა მხარეს. ნიშანდობლივია, რომ ფარულობის დაცვას ვერ უზრუნველყოფდა ვერც ჩარჩო კონვერტები, ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, კონვერტის ზომით, ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ კომისიის წევრების (საარჩევნო ყუთისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ზედამხედველი კომისიის წევრი) მხრიდან გაცემული ბიულეტენის ჩარჩო-კონვერტში მოთავსების განმარტებული წესის დაცვის პირობებშიც კი ხმის მთვლელ აპარატში შეცურების მომენტში ბიულეტენის უკანა მხარე ნაწილ-ნაწილ ხილული ხდებოდა. ამასთანავე საარჩევნო უბნების გახსნისთანავე (06:45 საათზე) უბნებზე მასობრივად განთავსდა ვიდეო-კამერები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ. საარჩევნო უბნებზე დამონტაჟებული ვიდეოკამერები, ზოგ შემთხვევაში, უყურებდა რეგისტრატორის მაგიდებს და ვერიფიკაციის აპარატებს, ზოგ შემთხვევაში კი - ხმის მიცემის კაბინებს და



ძირითად საარჩევნო ყუთს. ამას გარდა, ზოგ კენჭისყრის შენობაში დამონტაჟებული იყო კამერა, რომელიც არ იყო დალუქული. სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია შესაბამისი მტკიცებულებებით, რაც ნათელს ხდის, რომ ადგილი ჰქონდა ხმის ფარულობის პრინციპის მასშტაბურ დარღვევას, რაც, ცხადია, ამომრჩეველთა თავისუფალ ნებაზეც მოახდენდა გავლენას და შესაბამისად დაირღვა არა მხოლოდ ფარულობის, არამედ ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპები. ასევე, მოსარჩელების ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“, ააიპ "საქართველოს მომავლის აკადემიის“, ააიპ "ღია სივრცე კავკასიის" პოზიციით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით 30-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ შექმნეს კოალიცია მოსარჩელის მტკიცებით, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დამტკიცებული ბიულეტენისა და არჩევნებზე არსებული სპეციალური მარკერის ფორმა საფუძველშივე ვერ უზრუნველყოფდა ხმის ფარულობას. კერძოდ, მარკერით გაფერადებული წრე, ბიულეტენის თხელი მატერიისა და მარკერის სიმუქის გამო, ვიზუალურად აშკარად აღსაქმელი იყო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ აპარატში შეცურებისას. ამასთანავე, პრობლემური იყო თითქმის ყველა უბანზე წარმოდგენილი კამერა, რომელიც დღის განმავლობაში მუდმივ რეჟიმში იღებდა კენჭისყრის პროცესს, რაც ამომრჩევლებისთვის ქმნიდა კონტროლის განცდას და უქმნიდა აღქმას, რომ არჩევნები არ იყო ზეწოლისგან თავისუფალი. წალკის 25-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის დარღვევები, დარღვევების ნაწილის დაფიქსირება მოსარჩელე მხარემ შეძლო საარჩევნო კომისიებში, თუმცა დამკვირვებლებისათვის მტრული და ძალადობრივი გარემოს, გამოც ისინი ვერ ახერხებდნენ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებას.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია, რაც ამავე მუხლის მესამე პუნქტის გამოხატულებას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, დაცვის უფლება გარანტირებულია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია არის ადმინისტრაციული ორგანო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს



პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. მოცემულ შემთხვევაში, ოლქები გვევლინებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად და მათ მიერ მიღებული განკარგულებები წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები უტყუარად ცხადყოფს, რომ კენჭისყრის დღეს მასობრივად დაირღვა ამომრჩევლის ხმის ფარულობის პრინციპი, რაც არღვევს საქართველოს ძირითადი კანონით - კონსტიტუციით გარანტირებულ საარჩევნო უფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, „საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით“. იმისათვის, რომ შედგეს «ხალხის მმართველობა», საჭიროა ხალხმა მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკაში, რისთვისაც, საუკეთესო გზა არჩევნებია. თუმცა, არჩევნები ფორმალურად ავტორიტარულ ქვეყნებშიც იმართება. დემოკრატიულ სახელმწიფოებში ჩატარებულ არჩევნებს ამგვარი კვაზიარჩევნებისგან გამოარჩევს საარჩევნო უფლებისა და არჩევნების ძირითადი პრინციპების დაცვა (ლოლაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, 2023,609.)

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი ადგენს საარჩევნო უფლებას. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა“. საარჩევნო უფლების შინაარსზე უდიდეს გავლენას ახდენს საარჩევნო პრინციპები. მართალია, კონსტიტუციის 24-ე მუხლი ყველა მათგანს არ ახსენებს და პირდაპირ მხოლოდ „ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის“ უზრუნველყოფაზეა ყურადღება გამახვილებული, თუმცა, მიუხედავად ამისა, საარჩევნო უფლება მოიცავს ყველა მნიშვნელოვან საარჩევნო პრინციპს და შესაბამისად, საარჩევნო უფლების დაცვა ამ პრინციპების დაცვის გარეშე წარმოუდგენელია (ლოლაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, 2023, 617).

კონსტიტუციის ნორმები, რომლებიც შეეხება კონკრეტული ორგანოების არჩევნებს, პირდაპირ ჩამოთვლის საარჩევნო პრინციპებს. 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრები აირჩევიან „საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით“. როგორც აღნიშნული მუხლიდან იკვეთება, ლეგიტიმურად მიჩნევისთვის, არჩევნები უნდა იყოს: 1. საყოველთაო 2. თავისუფალი 3. თანასწორი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე 5. ფარული. აღნიშნული წინაპირობები არ არის ავტომატური. ყველა



წინაპირობის დაცვა სავალდებულოა. დაცვის უზრუნველყოფა კი უნდა მოხდეს არჩევნების ჩამტარებელი მხარის მიერ. არჩევნების პროცესში არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების და ამომრჩევლების (ხალხის) წეზის ნამდვილობისა და ფარულობის დაცვა უნდა იყოს გარანტირებული. კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს „არჩევნებში მონაწილეობის უფლებას“. იქედან გამომდინარე, რომ არჩევნები პროცესია, „არჩევნებში მონაწილეობა“ ვრცელდება მთელ პროცესზე და არა მის მხოლოდ რომელიმე ნაწილზე, მაგალითად ხმის მიცემაზე. (ლოლაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, 2023, გვ. 616). არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები ასევე გვხვდება საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლში. აღნიშნული მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, „კენჭისყრის ფარულობა და ამომრჩევლის წების თავისუფალი გამოვლენა გულისხმობს, რომ დ.ა) საქართველოში არჩევნები, რეფერენდუმი და პლემბისციტი ტარდება ფარული კენჭისყრით, გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა; დ.ბ) აკრძალულია ამომრჩევლის იძულება, დაშინება და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა. აღნიშნული ქმედება იწვევს დამრღვევის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.“

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროვნულ დონეზე საარჩევნო უფლება დაცულია ქვეყნის უმაღლესი კანონის - კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონმდებლობის, საარჩევნო კოდექსის საფუძველზე. ამავდროულად, საქართველოსთვის რელევანტურია ის საერთაშორისო აქტებიც, რომლებშიც საარჩევნო უფლების უდიდესი მნიშვნელობა აღიარებულია

საერთაშორისო

დონეზე.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მიხედვით: „1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით. 2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. 3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა; ეს წება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.“

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის მიხედვით: „თითოეულ მოქალაქეს მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელ შეზღუდვების გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა: ა) მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში, როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით. ბ) მისცეს ხმა და არჩეულ იქნას საყოველთაო პერიოდულ არჩევნებში, რომლებიც წარმოებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩევლების სურვილის გამოვლინებას. გ) თავის ქვეყანაში თანასწორ პირობებში შეეძლოს სახელმწიფოს სამსახურში შესვლა.“

ზემოთ მითითებულ აქტებში, ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსში უდიდესი მნიშვნელობაა მინიჭებული საარჩევნო უფლების იმ კომპონენტისთვის, რომელიც უკავშირდება ხმის მიცემის ფარულობასა და ნების თავისუფალ გამოვლენას. სწორედ ამ საარჩევნო პრინციპების დარღვევა მოხდა 2024



წლის 26 ოქტომბერს გამართულ არჩევნებზე (პირველად საქართველოს ისტორიაში, ამომრჩევლების 90%-მდე ოდენობა ხმას აძლევდა უბანზე, სადაც არჩევნები ტარდებოდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით), ვინაიდან, ადგილი ჰქონდა ხმის ფარულობის პრინციპის მასშტაბურ დარღვევას, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენდა ნების თავისუფალ გამოვლენაზე. ხმის მიცემის ფარულობა საარჩევნო კონსტიტუციური უფლების ძირეული კომპონენტია, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც, უფლების დაცულობის მასშტაბი ფიქციური ხდება. ეს გარანტია, მათ შორის, იცავს საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც, არის, უფლების განხორციელების ინსტრუმენტული საშუალებები: ბიულეტენი, და, საარჩევნო ყუთი. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, ხმის მიცემის აბსოლუტური ფარულობა დაცული უნდა იყოს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპზე, მათ შორის, ბიულეტენის მოთავსების მომენტში.

ფარულობის პრინციპის დარღვევა, ასევე, არღვევს ევროპულ კონვენციას, რომლის თანახმადაც, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ გონივრული ხანგამოშვებით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ეს მუხლი კონვენციისა და დამატებითი ოქმების სხვა ფუნდამენტური უფლებებისგან განსხვავდება იმით, რომ, იგი აწესრიგებს მაღალი ხელშემკვრელი მხარისთვის ვალდებულებას, ჩაატაროს ისეთი არჩევნები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანების მიერ ნების თავისუფალ გამოხატვას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის (თავისუფალი არჩევნების უფლება) თანახმად ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, გონივრული ხანგამოშვებით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას. ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის მნიშვნელობა ხაზგასმულია ფარული კენჭისყრის ევროპული კოდექსშიც (მათ შორის პოლიტიკოსების, დამკვირვებლებისა და ამომრჩევლების გზამკვლევი), რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა და კარგ პრაქტიკას ასახავს.

აღნიშნული კოდექსის არაერთი პარაგრაფიდან იკითხება ხმის მიცემის ფარულობის განუზომელი მნიშვნელობა არჩევნების ლეგიტიმაციისთვის: მე-3 პარაგრაფი - ხმის მიცემის ფარულობის უზრუნველყოფა რჩება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ძირითად ასპექტად. ის იცავს ამომრჩევლებს ნებისმიერი საფრთხისაგან, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ ნებაზე და იცავს ამომრჩევლის აზროვნების თავისუფლებას, პოლიტიკურ თუ სხვა შეხედულებებს. ფარული კენჭისყრა განუყოფელ როლს ასრულებს დემოკრატიული პროცესის ლეგიტიმაციაში. ის უზრუნველყოფს, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ თავისუფლად დააფიქსირონ საკუთარი აზრი, არჩეული წარმომადგენლები არიან ნამდვილად ხალხის მიერ



არჩეული და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები არიან ლეგიტიმური, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას ინსტიტუტების მიმართ. მე-4 პარაგრაფი - კენჭისყრის პროცესისას და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის ფარულობა გულისხმობს არა მხოლოდ ამომრჩევლის უფლებას, არამედ ვალდებულებას დაიცვას საკუთარი ხმის საიდულოება. არავის შეიძლება ჰქონდეს წვდომა ბიულეტენზე იმის გასარკვევად, თუ ვის მისცა სხვამ ხმა.

მე-9 პარაგრაფი - გარდა ამისა, ასამბლეა მკაცრად გმობს ფარული კენჭისყრის ყველა ფორმით დარღვევას, როგორცაა ხმების ყიდვა, ამომრჩეველთა შევიწროვება, მრავალჯერადი კენჭისყრა, ბიულეტენების მონიშვნა, საარჩევნო უბნების სიმცირე და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ ზომები ასეთი დარღვევების წინააღმდეგ. მე-12 პარაგრაფი - ასამბლეა შედეგად:

12.1. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ყველა ამომრჩევლისათვის ხმის მიცემის ფარულობა, მათ შორის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორცაა მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და წერა-კითხვის უცოდინარები, და დარწმუნდნენ, რომ უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საშუალებები, რათა მათ შეეძლოთ ხმის მიცემა ფარულად და მიიღოს შემდეგი ზომები, თუ ეს უკვე არ გაუკეთებიათ:

12.1.1. დაიცვან ამომრჩევლის ანონიმურობა ისე, რომ დაფიქსირებული ხმა არ იყოს დაკავშირებული ამომრჩეველთან;

12.1.2. პატივი სცენ ხმის მიცემის ინდივიდუალურობას და მიეცეს ყველა ამომრჩეველს შესაძლებლობა თავისუფლად გააკეთოს არჩევანი;

12.1.3. უზრუნველყონ ელექტრონული ხმის მიცემის მაქსიმალური უსაფრთხოება პერსონალურ მონაცემთა დაცვით და ამომრჩეველთა ანონიმურობის შენარჩუნებით;

12.1.4. დარწმუნდნენ, რომ საარჩევნო უწყების წარმომადგენლები არ ერევიან ფარულ კენჭისყრაში, კერძოდ ისინი არ ეცნობიან ბიულეტენებს დათვლის პროცესის დასრულებამდე;

12.1.5. უზრუნველყონ და გააფართოონ ხმის მიცემის საშუალებები, რომლებიც გარანტირებულს გახდიან ფარულ კენჭისყრას (საარჩევნო უბნები, გადასატანი ყუთები და ა.შ.) და დახული იქნება კონფიდენციალურობა;

12.1.6. გააუქმონ ყუათი დამაგრებული და დანომრილი ბიულეტენების გამოიყენება;

12.1.7. საარჩევნო გაყალბების დადასტურებული შემთხვევისას გააუქმონ არჩევნების შედეგები შესაბამის ოლქებში, და თუ ასეთმა გაყალბებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე, ხელახლა ჩაატაროს კენჭისყრა;

12.1.8. აკრძალოს ოჯახური ხმის მიცემის ყველა ფორმა და დასაჯოს შესაბამისი პირები;

12.1.9. დააწესონ მკაცრი ჯარიმები ხმის მიცემის ფარულობის დარღვევისათვის, როგორცაა ხმების ყიდვა, ამომრჩეველთა შევიწროვება, მრავალჯერადი ხმის მიცემა, ბიულეტენების დანიშვნა, და მიიღონ მკაცრი ზომები საარჩევნო უბნების სიმცირის აღმოსაფხვრელად;

12.1.10. დარწმუნდნენ, რომ ბიულეტენების ტრასნპორტირება მოხდება უსაფრთხოდ ისე, რომ დაცული იქნება კენჭისყრის ფარულობა. აღნიშნული აქტები ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს უმთავრესი პრინციპის - ფარულობის დაცვით, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია ნების



თავისუფალ გამოვლენასთან და მის ნამდვილობასთან. არჩევნების ფარულობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ ამომრჩევლისათვის უნდა იყოს ცნობილი მის მიერ გაკეთებული არჩევანის შინაარსი. არჩევნები უნდა ასახავდეს ამომრჩევლის რეალურ და არა შიშის ქვეშ გამოხატულ პოზიციას, რომ შენი არჩევანი სხვებისათვის ცნობილი გახდება. აქედან გამომდინარე, ფარულობის პრინციპის დარღვევა ეჭვქვეშ აყენებს შესაბამისი არჩევნების, როგორც დემოკრატიული ლეგიტიმაციის ინსტრუმენტის ხასიათს. არჩევნების ფარულობის პრინციპი გულისხმობს არა მხოლოდ იმის არ გამჟღავნებას, ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა, არამედ იმის არ გამჟღავნებასაც, თუ ვის არ მისცა ხმა მან. საარჩევნო უფლების განმარტების ჭრილში არაერთი საინტერესო განმარტება მოიძებნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშიც. საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, "საარჩევნო უფლება არ მოითხოვს კონკრეტული საარჩევნო მოდელის ჩამოყალიბებას და კანონმდებელი, ამ კუთხით, ფართო დისკრეციით სარგებლობს, თუმცა არსებულმა მოდელმა უნდა დააკმაყოფილოს კონსტიტუციური სტანდარტები, უზრუნველყოფდეს საარჩევნო უფლების რეალიზებისათვის საჭირო გარანტიებს და ხალხის ნების მაქსიმალურად ადეკვატურ ასახვას ხელისუფლების ფორმირებისას (საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, "იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციით არ არის დადგენილი კონკრეტული საარჩევნო სისტემა ან მოდელი, მისი განსაზღვრა კანონმდებლის მიერ ხდება. ამ პროცესში კანონმდებელი მაღალი დისკრეციით სარგებლობს, თუმცა შერჩეულმა საარჩევნო მოდელმა უნდა უზრუნველყოს, რომ საქართველოს ყოველმა მოქალაქემ თავისუფალი ნების გამოვლინების საფუძველზე მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში. ხელისუფლების ფორმირების პროცესში ხალხის ნება მაქსიმალურად ადეკვატურად უნდა იქნეს ასახული" (საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ). ამავე გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ „კანონმდებელს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, რომ სხვადასხვა დროს, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეარჩიოს ის საარჩევნო მოდელი, რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობს საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებს. კონსტიტუცია, თავისთავად, არ მოითხოვს რომელიმე ცალკეულ ფორმას ან რომელიმე კონკრეტული საარჩევნო მოდელის ჩამოყალიბებას. კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ არსებულმა საარჩევნო მოდელმა უზრუნველყოს ხალხის ნების თავისუფალი და თანასწორი ასახვა ხელისუფლების ფორმირების პროცესში. ამავე დროს, ამ პროცესში არ უნდა იქნეს უგულვებელყოფილი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, შერჩეულმა საარჩევნო მოდელმა არ უნდა გამოიწვიოს ადამიანის უფლებების გაუმართლებელი, არაგონივრული შეზღუდვა.“ აღნიშნული განმარტება შეიძლება განზოგადდეს არჩევნების ტექნოლოგიური საშუალებებით ჩატარების საკითხთან მიმართებით, რადგან, სახელმწიფოს შეუძლია შეარჩიოს მოდელი და არჩევნების ჩატარები მექანიზმები, თუმცა, ამ პროცესში უნდა იყოს დაცული საარჩევნო უფლების





პრინციპები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2023 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში №3/4/1483 საქმეზე „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - მნიშვნელოვან განმარტებებს აკეთებს სამართლიან და თავისუფალ არჩევნებზე, ამომრჩევლის უფლებაზე, წინასაარჩევნო და საარჩევნო გარემოზე. მათ შორის განმარტებულია „ამომრჩევლის უფლება, დარჩეს კენჭისყრამდე გარკვეული დროით მარტო საკუთარ თავთან, გაიაზროს და გადაამუშაოს ყოველგვარი მიღებული ინფორმაცია და მასზე დაყრდნობით ჩამოიყალიბოს თავისი მოსაზრება, დამოკიდებულება და არჩევანი. სწორედ ასეთი გზით არის შესაძლებელი პოლიტიკური ნების ფორმირება გაცნობიერებულად, ინდივიდის თავისუფალი ნებელობის ფარგლებში და მის საწყისებზე“. (II-16)

ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლო ალეთებს შემდეგ განმარტებებს: - კენჭისყრამდე ისეთი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა, სადაც ამომრჩეველი თავისუფლად იგრძნობს თავს იმისთვის, რათა კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას/საარჩევნო სუბიექტს ხმა მისცეს, უზრუნველყოფს მისი კონსტიტუციით გარანტირებული აქტიური საარჩევნო უფლებით სრულყოფილად და გაცნობიერებულად სარგებლობის შესაძლებლობას. ელექტორატზე ზეგავლენის განხორციელება წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში გავლენას ახდენს მათ გადაწყვეტილებაზე, თუ ვის მისცენ ხმა არჩევნების დღეს“ (II-17)

- „წინასაარჩევნო პერიოდში კონკურენტუნარიანი გარემოს უზრუნველყოფა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას წარმოადგენს“. ( II-18)

- „არჩევნებამდე დარჩენილ მოკლე პერიოდში ამომრჩევლის დაცვა ინტენსიური, მით უფრო საეჭვო ინფორმაციული ნაკადებისგან, ინფორმაციული წნეხისა და ზეწოლისაგან, როდესაც საკმარისი დრო აღარ რჩება მიღებული ინფორმაციის სარწმუნოების გადამოწმებისა და ჯეროვნად გააზრებისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ იგი არ გახდეს მანიპულირებადი და იმაზე პროვოცირებული, რომ დაუფიქრებელი, სპონტანური და იმპულსური გადაწყვეტილება მიიღოს, ბოლოს მიღებული, მაგრამ გადაუმოწმებელი ინფორმაციის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ და არა კარგად გააზრებული, სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობილი, საკუთარი და არა სხვისი ნამდვილი ნების შესაბამისი“. ( II-19)

- „თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნებისთვის იმანენტურია, რომ ამომრჩეველს ჰქონდეს შესაძლებლობა, ინფორმირებული იყოს ყველა შესაბამისი საკითხის შესახებ ნამდვილი, უტყუარი და სრული ინფორმაციის ფართო სპექტრის საფუძველზე, რადგან მხოლოდ სრულყოფილად ინფორმირებულ ამომრჩეველს შეუძლია, ჩამოიყალიბოს საკუთარი პოზიციები, დამოკიდებულებანი და მოახდინოს მისი კონვერტაცია არჩევნებში შესაბამისი სუბიექტისათვის კენჭისყრის დღეს ხმის მიცემით. ამის გამო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არჩევნების წინა პერიოდში ყველა სახის მოსაზრებებისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელება და ცირკულაცია უზრუნველყოფილი იყოს“. ( II-36)

- „სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ასევე მოითხოვს, ელექტორატს გააჩნდეს შესაძლებლობა, ჩამოაყალიბოს თავისი ჭეშმარიტი წება ყოველგვარი არასათანადო, მანიპულაციური, შეცდომაში შემყვანი, ცრუ, ყალბი, მიჯრძობილი ინფორმაციის,



გარეშე ჩარევის, ფსიქოლოგიური წნეხისა და ზეწოლის გარეშე. სწორედ ამგვარად შეძლებს თითოეული ამომრჩეველი, მისი კონსტიტუციით გარანტირებული აქტიური საარჩევნო უფლების სრულყოფილად რეალიზაციას. თავის მხრივ, ამომრჩეველთა მხრიდან არჩევნებში ხმის მიცემა თავიანთი ნამდვილი ნების შესაბამისად, წარმომადგენლობითი დემოკრატიისა და სახალხო სუვერენიტეტის პრინციპის ყველაზე პირდაპირი გამოხატულებაა. სწორედ ის ქმნის წინაპირობას იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება და სახელმწიფო ორგანოები ხალხის ნებას განასახიერებს. ამგვარად, ამომრჩეველის ნების თავისუფალი ფორმირება და წარმომადგენლობითი ორგანოებისა თუ სხვა არჩევნებში მისი გამოხატვა, ერთი მხრივ, აფუძნებს ინდივიდის სუბიექტურ უფლებას და ამ ჭრილში წარმოადგენს კერძო ინტერესს, თუმცა, იმავდროულად, წარმოადგენს დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის საფუძველთა საფუძველს და ამ გაგებით, იგი ზეინდივიდუალური, საჯარო ინტერესიც არის“. ( II-37) ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ ფარული არჩევნების პრინციპი აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, უზრუნველყოს მოქალაქის არჩევანის მკაცრი დაცვა გამჟღავნებისაგან. კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს თავისუფალი არჩევნების პრინციპს - „უზრუნველყოფილია ამომრჩეველის ნების თავისუფალი გამოვლენა“. დემოკრატიული გაგებით, „არჩევნებად“ არ ითვლება საარჩევნო პროცესი, რომელიც თავისუფალი არ არის (ლოლაძე გ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, 2023, 620-621). თავისუფალი ვერ იქნება ისეთი ნება და ნამდვილი ვერ იქნება ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც ეფუძნება ხმის ფარულობის დარღვევის ვარაუდს ან/და შესაძლო შიშს. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ფარულობის შეზღუდვას, თანასწორი საარჩევნო უფლების მსგავსად, მხოლოდ დაუძლეველი საფუძველების შემთხვევაში უშვებს. ჩარევა უნდა იყოს აუცილებელი არჩევნების სათანადოდ ჩატარებისათვის. მან აღნიშნული სტანდარტები გაავრცელა, მაგალითად, კანდიდატის წარდგენისას ინიციატორთა ხელმოწერების ნამდვილობისა და მათი საარჩევნო უფლებაუნარიანობის გადამოწმებაზე, ასევე ფოსტითა და ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით ხმის მიცემაზე და განმარტა, რომ არჩევნებში მონაწილეობისათვის მხარდამჭერთა სიების წარდგენის ინსტიტუტი არ არღვევს არჩევნების ფარულობის პრინციპს. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს რომელიმე სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობისათვის მხარდაჭერას და მისთვის ხმის მიცემას. გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერთა ხელმოწერების წარდგენა იმითაა გამართლებული, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ ისეთმა სუბიექტებმა, რომლებსაც, სავარაუდოდ, შეუძლიათ მოიპოვონ ხმათა მინიმალური ოდენობა მაინც. ფარულობის პრინციპი არ ირღვევა, როდესაც ამომრჩეველი ნებაყოფლობით ამჟღავნებს თავის არჩევანს. მაგალითად, პრობლემას არ წარმოადგენს ე.წ. ეგზიტპოლების ფარგლებში იმ პარტიის ან კანდიდატის დასახელება, რომელსაც ამომრჩეველმა ხმა მისცა. თუმცა დასაშვებად არ ითვლება ხმის მიცემის პროცესში არჩევანის ფარულობაზე ნებაყოფლობითი უარი, რადგანაც ამგვარმა მოქმედებამ, შეიძლება, სხვა ამომრჩეველსაც უზიძგოს ხმის დასაშვებების დაუშვებელია სახელმწიფოს ან კერძო პირების მხრიდან ისეთი ღონისძიებების



განხორციელება, რაც ამომრჩეველს არჩევანის გამჟღავნებას აიძულებს. თავისუფალი არჩევნების პრინციპის დარღვევად გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენას რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ. მაგალითად, მთავრობის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ამ პრინციპს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ დაუშვებელია, რომ მათ მიიღონ წინასაარჩევნო რეკლამის სახე. თავისუფალი არჩევნების პრინციპს ასევე არ არღვევს კერძო პირთა თუ გაერთიანებათა ზემოქმედება არჩევნებში პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოიყენება იძულება, ზეწოლა ან სხვა დაუშვებელი ზეგავლენის საშუალებები. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არჩევნების თავისუფლების პრინციპის დარღვევად თვლის კანდიდატების დასახელების მონოპოლიზებას პარტიების ხელში. გარდა ამისა, ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დროულად გაეცნოს ინფორმაციას დასახელებული კანდიდატების შესახებ. (ლოლაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, 2023, 640-641).

ხმის ფარულობისა და თავისუფლების პრინციპების განხილვისას, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საარჩევნო უფლების დაცვის მიმართ დაწესებული სტანდარტის მიმოხილვაც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე Bakirdzi and E.C. v. Hungary განმარტავს ფარული კენჭისყრის მნიშვნელობას, რის მიხედვითაც „სასამართლო მიიჩნევს რომ ხმის მიცემის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ხმის მიცემის პროცესი წარმართული იქნება ფარული კენჭისყრით, რაც ამომრჩეველს შესაძლებლობას მისცემს სასურველ კანდიდატს თავისუფლად, ეფექტურად და თავიანთი შეხედულებისამებრ, სხვების მხრიდან ყოველგვარი გავლენის დაშინების და დაგმობის გარეშე მისცენ ხმა. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ხმის მიცემის სისტემა უნდა ემსახურებოდეს საჯარო ინტერესს გარანტირებული იყოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. პრაქტიკული თვალსაზრისით, ის საკითხი თუ ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა კონკრეტულ არჩევნებში, არ უნდა გახდეს საჯაროდ ცნობილი. ხმის მიცემის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ამომრჩევლების რწმენა იმის თაობაზე რომ ისინი პირდაპირ ან ირიბად ვერ გახდებიან იძულებული გაამჟღავნონ ვის მისცეს ხმა“.

ასევე, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Case of Davydov and Others v. Russia, სადაც საუბარია თავისუფალ არჩევნებზე "თავისუფალი არჩევნები დანახულ/განხილულ უნდა იქნას როგორც ინდივიდუალური უფლება, ისე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, რომელიც მოიცავს უამრავ გარანტიას, დაწყებული ამომრჩევლების უფლებიდან მოახდინონ თავიანთი აზრის თავისუფალი ფორმირება და გაგრძელებული იმ პროცესის ფრთხილი რეგულირებიდან, რომლის საშუალებითაც არჩევნების შედეგების დადგენა, დამუშავება და ჩაწერა ხორციელდება". ელექტრონული ხმის მიცემისას ძირითადი სტანდარტები, როგორცაა თავისუფალი და ფარული არჩევნები, დაცული უნდა იყოს (Krimmer, R., Barrat i Esteve, J., Electronic Voting, Routledge Handbook of Election Law, Edited by David Schlutz and Jurij Toplak, Routledge, 2023, 67). 18 363, ვენეციის



კომისია მიიჩნევს, რომ ხმის ფარულობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხმის მიცემის ყველა სტადიაზე (Recommendation CM/Rec(2017)5(1) of the Committee of Ministers to member States on standards for e-voting, para. 19). ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ბიულეტენები ისე იყოს ფორმირებული, რომ გამოირიცხებოდეს ბუნდოვანება და ხმების კონფიდენციალურობა იყოს გარანტირებული (Code of Good Practise in Electoral Matters, Guidelines, explanatory report and interpretative declarations, Venice Commission Council of Europe Strasbourg, 29.) ელექტრონული არჩევნები უნდა იყოს დაცული და სანდო (Report on the Compatibility of Remote Voting and Electronic Voting with the Standards of the Council of the Europe, para. 53. ამომრჩეველს უნდა ეცნობოს აპარატიდან, რომ მისი ხმა მიღებულია ისე, რომ დაცული იყოს ხმის ფარულობა (Report on the Compatibility of Remote Voting and Electronic Voting with the Standards of the Council of the Europe, para. 53.) ამომრჩეველი თავის წებას ავლენს მასზე ყოველგვარი კონტროლის, ზეგავლენისა და დაშინებისაგან. მისი გარანტირებული უფლებაა, არავის გაანდოს, თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა. არჩევნების თავისუფლების პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, ამომრჩევლის წების თავისუფალ რეალიზაციას გულისხმობს, რომელიც მისი ფარული ხასიათითაა დაცული. მხოლოდ ფარული კენჭისყრის პირობებშია შესაძლებელი ჭეშმარიტად სახალხო ნების გამოვლენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საარჩევნო პროცესით დაინტერესებული პოლიტიკური ძალების ჩარევით ხშირად ამ ნების საპირისპირო შედეგი ფორმდება. თავისუფალი საარჩევნო უფლება როგორც საჯარო ხელისუფლების, ისე კერძო სუბიექტის მხრიდან ყოველგვარი ძალადობისა და ზეწოლის გარეშე ამომრჩევლის ნების თავისუფალ ჩამოყალიბებასა და მის თავისუფალ გამოვლენას უზრუნველყოფს. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის ზეწოლა. (მაკარიძე, დ., უშუალო დემოკრატია, კრებულში კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, 2018, 250-251.) ყოველი მოქალაქე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებისათვის მის წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული რაიმე სანქცია, რადგან არავის არ აქვს უფლება იცოდეს ვინ ვის მისცა ხმა. (კუბლაშვილი, კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, 329.) მნიშვნელოვანია, რომ ვენეციის კომისია ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას ნათლად მიუთითებდა ხმის მიცემის ფარულობის უზრუნველსაყოფად ყველა აუცილებელი ზომის მიღების საჭიროებაზე. მიუხედავად ამისა, ამ უფლების დაცვა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ („ცესკო“) ვერ უზრუნველყო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღეს. აღსანიშნავია, რომ ხმის ფარულობის დარღვევის რისკები საიამ არჩევნებამდე ცესკოს მიერ გამართულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებზე აღმოაჩინა და ამის შესახებ წინასწარ მიმართა ცესკოს, რომ მიეღო შესაბამისი ზომები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. 2024 წლის 28 სექტემბრის წერილით №01-01/1607 საიას ეცნობა, რომ ცესკოს მიერ გამართულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი იყო სატესტო ვერსია, ხოლო კენჭისყრის დღეს გამოყენებული ბიულეტენის ხარისხი იქნებოდა განსხვავებული, რაც უზრუნველყოფდა ფარულობის დაცვას. თუმცა, ეს პირობა ვერ შესრულდა.



საარჩევნო სუბიექტის წინ მდებარე წრის გაფერადების შემდგომ, მარკერის კვალი სრულად გადადიოდა ბიულეტენის უკანა მხარეს შესაბამისად ზიულეტენის მთვლელ აპარატში მოთავსებისას კომისიის წევრების, საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე სუბიექტებისთვის, მარტივად აღქმადი იყო ამომრჩევლის გამოხატული წება. მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ ბიულეტენების დაბეჭდვა უზრუნველყო ცესკომ მის მიერ შერჩეული სტამბების და მის მიერვე მიტანილი საბეჭდი ქაღალდის მეშვეობით, შესაბამისად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამიყენებული ბიულეტენი იყო ერთი ხარისხობრივი ნიშნის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩარჩო-კონვერტი განკუთვნილი იყო და ფარავდა მხოლოდ ბიულეტენის იმ ნაწილს სადაც ფიქსირდებოდა საარჩევნო სუბიექტები, თავის მხრივ კონვერტი უზრუნველყოფდა ბიულეტენის წინა მხარეს გაკეთებული არჩევანის ფარულობას და ამ მიზნითვე ხდებოდა ბიულეტენის მოთავსება მთვლელ აპარატში ამობრუნებულ მდგომარეობაში. თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ამობრუნებულ ბიულეტენზე იკვეთებოდა ამომრჩევლის ნება კერძოდ, ჩარჩო-კონვერტიდან მთვლელ აპარატში ბიულეტენის მოთავსებისას მასზე გარკვევით ჩანდა მარკერის კვალი, რაც მიწიუმ იმის იდენტიფიცირების სრულ შესაძლებლობას იძლეოდა, ამომრჩევლის ნება ოპოზიციურ თუ სახელისუფლებო პარტიას მიემართებოდა - აპარატის მიერ ბიულეტენის უკან დაბრუნების შემთხვევაში კი სრულად იდენტიფიცირდებოდა გაფერადებული საარჩევნო სუბიექტი.

საარჩევნო უბნების გახსნისთანავე (06:45 საათზე) უბნებზე მასობრივად განთავსდა ვიდეო-კამერები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ, ხოლო შენობაში არსებული ვიდეო კამერები იყო შეუფუთავ მდგომარეობაში. საარჩევნო უბნებზე "ქართული ოცნების" მიერ ვიდეოკამერები იმგვარად მოეწყო, რომ ზოგ შემთხვევაში, უყურებდა რეგისტრატორის მაგიდებს და ვერიფიკაციის აპარატებს, ზოგ შემთხვევაში კი - ხმის მიცემის კაბინებს და ძირითად საარჩევნო ყუთს. გარდა ამისა, ხდებოდა ამომრჩეველთა გამოსახულებით იდენტიფიკაცია, ეს გარემოებაც პირდაპირ მიმართული იყო საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა ფარულობის პრინციპის დარღვევისკენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წათელია, რომ საარჩევნო უბნები კენჭისყრის დღეს 26 ოქტომბერს, საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ აღჭურვა იმგვარად, რომ დაცული ყოფილიყო ხმის მიცემის ფარულობა, შესაბამისად ყველა ელექტრონულ უბანზე, სადაც გამოყენებული იქნა ელექტრონული ბიულეტენი დაირღვა საარჩევნო სამართლის პრინციპები.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 21 მუხლის თანახმად საოლქო საარჩევნო კომისია: უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო ოლქში უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას. ამავე მუხლის "ლ" ქვეპუნქტის თანახმად ლ) განიხილავს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას, მათ შორის, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. გადაწყვეტილებას განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ცხელგაზრდა იურისტთა



ასიციაციის მიერ კანონით დადგენილი წესით, 2024 წლის 29 ოქტომბერს წარდგენილი იყო საჩივარი ფარულობის დარღვევის საფუძველით ყველა იმ ოლქში, სადაც არჩევნები ჩატარდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით. ვინაიდან ოლქის დონეზე არ მოხდა საჩივრის დაკმაყოფილება იძულებული ვართ მივმართოთ სასამართლოს.

ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“, ააიპ "საქართველოს მომავლის აკადემიის“ ,ააიპ "ღია სივრცე კავკასიის" - წარმომადგენლის განმარტებით საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლის მუხლის 21-ე ნაწილის თანახმად, საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის ან არცნობის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვთ: პარტიას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს ან მათ წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, მაჟორიტარ კანდიდატს, თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერობის კანდიდატს, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზათილად ცნოხს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. ამდენად, იმისათვის, რომ სადავო ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები ბათილად იქნეს ცნობილი, აუცილებელია იგი კანონს ეწინააღმდეგებოდეს ან არსებითად უნდა იყოს დარღვეული მისი გამოცემის წესი. მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად არსებობდა კანონის ისეთი არსებითი დარღვევა, რაც მათ ზათილად ცნობას გამოწვევს. 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დამტკიცებული ბიულეტენისა და არჩევნებზე არსებული სპეციალური მარკერის ფორმა საფუძველშივე ვერ უზრუნველყოფდა ხმის ფარულობას. კერძოდ, მარკერით გაფერადებული წრე, ბიულეტენის თხელი მატერიისა და მარკერის სიმუქის გამო, ვიზუალურად აშკარად აღსაქმელი იყო ზიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ აპარატში შეცურებისას. ამასთანავე, პრობლემური იყო თითქმის ყველა უბანზე წარმოდგენილი კამერა, რომელიც დღის განმავლობაში მუდმივ რეჟიმში იღებდა კენჭისყრის პროცესს, რაც ამომრჩევლებისთვის ქმნიდა კონტროლის განცდას და უქმნიდა აღქმას, რომ არჩევნები არ იყო ზეწოლისგან თავისუფალი. საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას 24-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ უბანზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები. დაფიქსირებული დარღვევები წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსის არსებით დარღვევას, რაც საარჩევნო კოდექსის თანახმად წარმოადგენს საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების



ზათილად ცნობის საფუძველს. არჩევნების კანონიერების უზრუნველყოფა და საარჩევნო პრინციპების დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით. არჩევნების კანონიერად ჩატარება უზრუნველყოფს ხალხის ნების ჭეშმარიტ გამოვლენას და წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელებას. კანონიერი არჩევნების შედეგად არჩეული ხელისუფლება სარგებლობს ლეგიტიმაციით და მოქალაქეების ნდობით, რაც აუცილებელია ქვეყნის ეფექტური მართვისთვის.

საარჩევნო პრინციპების დაცვა - საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლება, კენჭისყრის ფარულობა და ნების თავისუფალი გამოვლენა - უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის პოლიტიკური უფლებების რეალიზებას. ეს პრინციპები იცავს მოქალაქეებს დისკრიმინაციისგან მონაწილეობისთვის. ქმნის და თანაბარ პირობებს პოლიტიკურ პროცესებში როდესაც არჩევნები ტარდება საერთაშორისო სტანდარტებისა კანონმდებლობის სრული დაცვით, ეს:

- ამაღლებს საზოგადოების ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ;
- აძლიერებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს;
- ხელს უწყობს პოლიტიკურ სტაბილურობას;
- უზრუნველყოფს მშვიდობიან პოლიტიკურ ტრანზიციას;
- ზრდის ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს.

კანონიერი არჩევნები ასევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის. როდესაც მოქალაქეები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ხმა მნიშვნელოვანია და დაცულია, იზრდება მათი სამოქალაქო აქტივობა და პოლიტიკური პროცესებში ჩართულობა. არჩევნების კანონიერების დარღვევა, პირიქით, იწვევს:

- საზოგადოების უნდობლობას პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ
- პოლიტიკურ დესტაბილიზაციას
- სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტებას

- საერთაშორისო რეპუტაციის შელახვას შესაბამისად, არჩევნების კანონიერად ჩატარება და საარჩევნო პრინციპების დაცვა არის არა მხოლოდ სამართლებრივი ვალდებულება, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის, პოლიტიკური სტაბილურობისა და საზოგადოების განვითარების აუცილებელი წინაპირობა.

დამკვირვებელთა უფლებების შეზღუდვა არ იყო ცალკეული ან ერთეული მოვლენა; ეს დარღვევები ხასიათდებოდა სისტემატურად და განმეორებით, მთელი დღის განმავლობაში. ამასთან, მას ჰქონდა მასშტაბური ხასიათი და დამკვირვებლებისთვის ხელშეშლას ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა უბანზე. დამკვირვებელთა არაპირდაპირი და პირდაპირი შეზღუდვები, ხშირ შემთხვევაში ფიზიკური დაშინებაც ან ადგილიდან გაძევების მცდელობები, მათ ხელს უშლიდა დაკვირვების საფუძველიანად განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ ამგვარი დარღვევები საყოველთაო წდობას არღვევს და ამახინჯებს არჩევნების შედეგების სანდოობას. სწორედ ამიტომ მიუთითებს დამკვირვებელთა როლის მნიშვნელობაზეც ისეთი

საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტებით, როგორცაა ქუთაისის დემოკრატიული



არჩევნების სამოქმედო პრინციპები. საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის „ევროპული საბჭოს“ რეკომენდაციებიც, ხაზს უსვამენ, რომ დამკვირვებელთა შეუფერხებელი მუშაობა აუცილებელია სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების უზრუნველსაყოფად. ვენეციის კომისიის „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპები“ კი აკონკრეტებს, რომ იმგვარი ადგილები, სადაც დამკვირვებლებს შეიძლება შეეზღუდოთ დაკვირვება, წინასწარ და ექსპლიციტურად უნდა იყოს კანონმდებლობის მიერ დადგენილი და დასაბუთებული. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული დოკუმენტებისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკის ერთობლიობა საბოლოოდ მიუთითებს, რომ ნებისმიერი ფორმით დამკვირვებელთა უფლებების შეზღუდვა არჩევნების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს და თუ მას მასშტაბური ხასიათი აქვს, ცალკე აღებულიც კი შეიძლება გახდეს უზნების შედეგების ბათილობის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ დამკვირვებელთა უფლებების სისტემატური დარღვევაში, მტრული გარემოს შექმნა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიუწვდომლობა არღვევს საარჩევნო როგორც საარჩევნო კანონმდებლობას, ისე საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. აღნიშნული დარღვევების მასშტაბურობა კი მიუთითებს, რომ 26 ოქტომბრის დღეს მიმდინარე პროცესები ვერ უზრუნველყოფდა სამართლიან და გამჭვირვალე არჩევნებს. დემოკრატიული არჩევნების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი ხმის მიცემის ფარულობაა. ეს პრინციპი საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული და წარმოადგენს ფუნდამენტურ საარჩევნო უფლებას. როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიებში ირღვევა ხმის მიცემის ფარულობა, ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ადგილობრივ კანონმდებლობას, არამედ საერთაშორისო სტანდარტებსაც. კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო ბიულეტენის მეორე გვერდზე გადადის მარკერის მონიშვნა და შესაძლებელი ხდება იმის იდენტიფიცირება, თუ ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა, ეს წარმოადგენს არსებით დარღვევას. ამ დარღვევის მწიშვნელობა განსაკუთრებით დიდია, რადგან ის ძირს უთხრის თავისუფალი არჩევნების პრინციპს. საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო დეტალურად არის გაწერილი საარჩევნო კოდექსში, რომელიც კრძალავს ხმის მიცემის ფარულობის ნებისმიერ დარღვევას. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „...პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან.“

საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს საარჩევნო კოდექსი მე-3 მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „საქართველოში არჩევნები, რეფერენდუმი და პლებისციტი ტარდება ფარული კენჭისყრით, გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა.“ ხოლო, იმავე მუხლის „დ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აკრძალულია ამომრჩევლის იძულება, დაშინება და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა.“ მეტიც, „აღნიშნული ქმედება იწვევს დამრღვევის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.“ იმავე კოდექსის 58-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კენჭისყრის





შენობაში „ხმის მიცემის ადგილი იმგვარად უნდა მოეწყოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების ფარულობა“. ხოლო, იმავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაზინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია.“ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) დამოწმების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაზინაში და ავსებს ბიულეტენს (ბიულეტენებს) ამ კანონით დადგენილი წესით. საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსების შემდეგ ამომრჩეველმა იგი (ისინი) ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა.“ ხოლო, იმავე მუხლის იმავე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მეორე წინადადების თანახმად, „საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი (ბიულეტენები) ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა.“ კოდექსის იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება.“ და მხოლოდ ისეთ ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, აქვს უფლება, ფარული კენჭისყრის კაზინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი სხვა პირი, გარდა იმავე ნაწილის ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი პირებისა. ფარული კენჭისყრის მნიშვნელობა დემოკრატიული პროცესებისთვის ხაზგასმულია საერთაშორისო სამართალშიც. არჩევნების ფარულობის პრინციპი განმტკიცებულია გაეროს საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომლის 25-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში დადგენილია, რომ თითოეულ მოქალაქეს, რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე, აქვს უფლება და შესაძლებლობა „მისცეს ხმა და არჩეულ იქნას საყოველთაო პერიოდულ არჩევნებში, რომლებიც წარმოებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩევლების სურვილის გამოვლინებას.“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ. გონივრული ხანგამოშვებით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.“ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის" თანახმად, ეუთოს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ჩაატარონ არჩევნები გონივრული პერიოდულობით, ფარული კენჭისყრით, ისეთ პირობებში, რომლებიც პრაქტიკაში უზრუნველყოფს თავიანთი წარმომადგენლების არჩევისას ამომრჩეველთა აზრის თავისუფალ გამოხატვას (Document of the Copenhagen Meeting of the Conference in the Human Dimension of the CSCE, para. 5.1). როდესაც ბიულეტენის მეორე გვერდზე გადადის მარჯერის მონიშვნა, ეს პირდაპირ არღვევს ხმის მიცემის ფარულობას. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ამომრჩევლის არჩევანის იდენტიფიცირება, რაც საფრთხეს უქმნის არჩევნების ლეგიტიმურობას და ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენას. ეს დარღვევა იმდენად არსებითია, რომ წარმოადგენს საკმარის საფუძველს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობისთვის.

კენჭისყრის პროცედურების დარღვევების შესახებ განცხადება/საჩივრები საარჩევნო



უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ კანონისმიერი დათქმის მიხედვით, განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს დარღვევის შემჩნევისთანავე 72-ე მუხლით დადგენილი წესით, კენჭისყრის დღის 7 საათიდან - საარჩევნო ყუთის განხსნამდე პერიოდისათვის (73.1 მუხლი)

საარჩევნო კოდექსის თანახმად, განცხადება/საჩივარი გადაეცემა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს ან კომისიის მდივანს. კომისიის მდივანი რეგისტრაციაში გაატარებს. განცხადებას საჩივარს ჩანაწერთა წიგნში, ხოლო განმცხადებელს/მომჩივანს გადასცემს ცნობას (თავისი ხელმოწერით), რომელშიც აღნიშნება შესაბამისი განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი, დრო და სარეგისტრაციო ნომერი. (72.1)

ამასთან, განსაზღვრულია საჩივარზე რეაგირების პროცედურა და პასუხისმგებელი პირი. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე საჩივარზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა. (72.3) ხოლო, თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არ აღმოფხვრა დარღვევა ან სხვაგვარი ფორმით უარი განაცხადა განცხადებაზე/საჩივარზე რეაგირებაზე, დამკვირვებელს/საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ან იმავე სადამკვირვებლო ორგანიზაციის სხვა დამკვირვებელს საარჩევნო სუბიექტის სხვა წარმომადგენელს უფლება აქვს, აღნიშნული დარღვევა დაუყოვნებლივ გაასაჩივროს შესაზამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. (72.3)

მოცემულ ნორმაში არაფერია ნათქვამი იმ შემთხვევაზე, თუ რა სახის რეაგირება ან/და ქმედებათა პროცედურული ჯაჭვია საჭირო მაშინ, როცა საუბნო საარჩევნო კომისია უარს აცხადებს საჩივრის მიღებაზე და დამკვირვებელს არ ეძლევა შესაძლებლობა მისი განცხადება/საჩივარი დარეგისტრირდეს და აღირიცხოს ჩანაწერთა წიგნში. კანონმდებელს არ განუხილავს მსგავსი შემთხვევები, თუმცა, ფაქტია, რომ ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს ხოლმე როგორც კენჭისყრის დღის განმავლობაში, ასევე ხმის დათვლის დროს. არ არის განსაზღვრული რაიმე სახის პროცედურა, რისი გავლის შემდგომაც, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის ან/და მდივნის ნებაზე არ იქნება დამოკიდებული საჩივრის რეგისტრაცია. ასევე არ არის მოცემული პროცედურა, რომელითაც სათანადოდ გაფორმდება თუნდაც მსგავსი ქმედების - არრეგისტრაციის ფაქტი.

აღნიშნული საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან როგორც შემდგომ საოლქო კომისიის განკარგულებებიდან ნათელი გახდა, სწორედ მსგავს განცხადება/საჩივრის სათანადოდ რეგისტრაციის ფაქტს დაუკავშირდა ისეთი მნიშვნელოვანი მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა, როგორცაა მაგალითად კენჭისყრის შედეგების ბათილობა. ხმის დათვლისა და კენჭისყრის შემაჯამებელი პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევების და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვისა ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილ საჩივრებზე საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულია იდენტური სამართლებრივ რეჟიმი. საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, ასეთი საჩივრები შედგენილი უნდა იყოს ყუთის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე, ამ კანონის 72-ე მუხლით დადგენილი წესით. (73.2)



ხმის დათვლის და კენჭისყრის შემაჯამებელი პროცედურის დროს დაწერილ განცხადება/საჩივარის რეგისტრაციისა და განხილვისას მოქმედებს იგივე წესი, რაც კენჭისყრის პროცედურის დარღვევისათვის განვიხილეთ ზემოთ. განცხადებას/საჩივარს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი რეგისტრაციაში გაატარებს ჩანაწერთა წიგნში. საუბნო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა. არც ამ შემთხვევაშია გაწერილი რაიმე პროცედურა იმ შემთხვევისათვის, თუკი კომისია და შესაბამისი პირი განზრახ არღვევს პროცედურას და არ არეგისტრირებს განცხადება/საჩივარს. ამასთან, თუ პირველ შემთხვევაში დამკვირვებელს მთლიანი პროცესის შეფასებისათვის აქვს დრო დილის 7 საათიდან ხმის მიცემის პროცედურის დასრულებამდე, უმეტეს შემთხვევაში ეს დროა საღამოს 8 საათი, ანუ ჯამში 13 საათი, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შემაჯამებელი პროცედურებისას ეს დრო სულ რამოდენიმე საათია.

თავის მხრივ. ასეთ განცხადება/საჩივარზე არასათანადო რეაგირება ან უარი დარღვევის აღმოფხვრაზე საჩივრდება უკვე საოლქო საარჩევნო კომისიაში. დამკვირვებელს/საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ან იმავე სადამკვირვებლო ორგანიზაციის სხვა დამკვირვებელს საარჩევნო სუბიექტის სხვა წარმომადგენელს უფლება აქვს, საუბნო საარჩევნო კომისიის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქმედება 3 დღის ვადაში გაასაჩივროს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისია განცხადებას/საჩივარს განიხილავს მისი მიღებიდან 4 დღის ვადაში. (73.3)

ორივე ზემოთ მოყვანილი შემთხვევის არსებობისას, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, 72 ე - 73 ე მუხლებით განსაზღვრული პროცედურების დარღვევით წარდგენილი განცხადება/საჩივარი არ განიხილება და შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ნათელია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიას არსებული რეგულაციების პირობებში აქვს ქმედითი ბერკეტი გავლენა იქონიოს სამომავლოდ ისეთ მნიშვნელოვან მოთხოვნაზე, როგორცაა კენჭისყრის შედეგების ბათილობა, ფორმალური საფუძვლით მისი თავიდან არიდების გზით. არსებული სამართლებრივი რეგულაციების პირობებში, კომისიებს რჩებათ შესაძლებლობა განზრახ არ დაარეგისტრირონ განცხადება/საჩივარი ჩანაწერთა წიგნში, რითაც პრაქტიკულად შექმნან ფორმალურ-სამართლებრივი საფუძველი შემდგომში დაწერილი საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და განუხილველად დატოვებისათვის.

ამასთან, კანონმდებელს არ გაუთვალისწინებია რაიმე ქმედითი მექანიზმი, ალტერნატიული საშუალება ან/და პროცედურა, რომელიც თავიდან აგვაცილებდა ადმინისტრაციული ორგანოს მსგავს თვითნებობას და შექმნიდა გარანტიებს დარღვევებზე ეფექტური და სათანადო რეაგირებისათვის. საარჩევნო კანონმდებლობისათვის მსგავსი მოწესრიგება უცხო არ არის საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე, რადგან დამკვირვებელს, ისევე როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაციას, აქვს შესაძლებლობა ელექტრონულად მიმართოს ადმინისტრაციას და დააყენოს კონკრეტული მოთხოვნა განსახილველად. ამ



უკანასკნელ შემთხვევაში რომელიმე კონკრეტული პირის, კომისიის წევრის ნებაზე არ არის დამოკიდებული განცხადება/საჩივრის მიღებისა თუ არ მიღების საკითხი და არც გავლენის მოხდენა შეუძლია რომელიმე კონკრეტულ პირს მოცემული დოკუმენტის რეგისტრაციის პროცესზე, რაც, თავის მხრივ, ქმნის წინაპირობას ზემდგომ კომისიაში საჩივრის წარდგენისათვის. თუ განცხადება/საჩივარი არ დაარეგისტრირა კომისიამ ჩანაწერთა წიგნში, და ამ განზრახ არდაარეგისტრირების შესახებ არ გაიცემა რაიმე დოკუმენტი, დღეს მოქმედი პრაქტიკის თანახმად, ეს საკმარისი საფუძველია დასაშვებობის კუთხით, შინაარსში შესვლის გარეშე, ბლანკეტურად უარი ეთქვას დამკვირვებელს ისეთი მოთხოვნის განხილვაზე, როგორცაა კენჭისყრის შედეგების ბათილობა. სინამდვილეში კომისია ვალდებული უნდა იყოს სრულად გამოიკვილოს და შეისწავლოს განცხადება/საჩივარი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მსგავსი ბლანკეტური უარის ფორმალური საფუძველი. რადგან თუნდაც დავუშვათ, რომ პროცედურის დაცვის გარეშე წარდგენილ განცხადება/საჩივარში საკმარისი საფუძველია ბათილობისთვის, კომისიას საკითხის არსებითად შესწავლისა და შინაარსობრივი მსჯელობის გარეშე მისი გადაწყვეტა არ უნდა შეეძლოს, რადგან სასწორზეა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, როგორცაა საყოველთაო, ფარული და სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

ამასთან, ხშირად სახეზე გვაქვს ისეთი დარღვევა, რომელიც შეიძლება ადგილზე რეაგირებისათვის არ გამოდგება. მაგალითად, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ბიულეტენებზე სპეციალური კალმით დატანილი მონიშვნა ხმის მიცემის შესახებ, რომელიც ხილულია ბიულეტენის უკანა მხრიდანაც. რაც არღვევს არჩევნების ისეთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, როგორცაა ხმის მიცემის ფარულობა. ყველასთვის ნათელია, რომ მსგავსი პრობლემის მასიურობა მხოლოდ ხმის დათვლის შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც დამკვირვებელს მიეცა შესაძლებლობა ხმის დათვლის პროცესს დაკვირვებოდა და თვალნათლის დაენახა, რომ ასეთი პრობლემა მარტო ერთ ცალკე ადგილზე ბიულეტენს კი არ ეხებოდა, არამედ პრაქტიკულად ყველას. ხოლო, პრობლემის სისტემურობის შესახებ შეგვეძლო უკვე გვესაუბრა ყველა იმ უბნიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლებიც მოცემულ ოლქში შედიოდა და რომლებშიც პროცესს ჩვენი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ. ცხადია, რომ საჩივრის ადგილზე დაწერა ვერც შეცვლიდა და ვერც გამოასწორებდა ბიულეტენებისა და გასაფერადებელი სპეციალური მარკერის ხარისხს, ისევე, როგორც ვერ შეძლებდა სათანადო რეაგირებას საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარე. არაერთი ბლანკეტური უარის შემდგომ ნათელია, რომ მიდგომა, რომელსაც დღეს საარჩევნო კომისიები ამკვიდრებენ, ეწინააღმდეგება მთლიანად საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის ჩატარების პრინციპებს და ამასთან მთლიანად საარჩევნო პროცესის ლეგიტიმაციას აყენებს ეჭვქვეშ. 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშის შესაბამისად: კარგი პრაქტიკის კოდექსის ლლ 3.3 პარაგრაფით რეკომენდებულია, რომ "პროცედურა იყოს მარტივი და ფორმალობისგან დაცლილი, განსაკუთრებით საჩივრების დასაშვებობასთან მიმართებით". (იხ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების



ოფისის შეზღუდული სააღმკვეთი სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში 2020. 45 გვ. ), ამავე დასკვნაში არაერთი განმარტება გაკეთდა მთლიანად დავების განხილვისა და დასაშვებობის საკითხებზე, რაც დღესაც აქტუალურია მოცემული დავის განხილვისას.

## 2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხემ წარმოდგენილი სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება მოსარჩელის მხარის მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეს იმ საარჩევნო უბნებში, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებებით ჩატარდა, დაირღვა კენჭისყრისა და ხმის ფარულობის პრინციპი. სარჩელზე თანდართული ფოტო თუ ვიდეომასალით არ დგინდება (ვერ ირკვევა), თუ რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა კონკრეტულმა ამომრჩეველმა. სარჩელზე თანდართულ არცერთ ფოტო-ვიდეომასალაში საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე არ ჩანს საარჩევნო ბიულეტენზე მითითებული საარჩევნო სუბიექტების სახელწოდებები, რიგითი ნომრები და ამ რიგითი ნომრების წინ არსებული წრეები. სპეციალური ჩარჩო კონვერტის ზომა, მასში საარჩევნო ბიულეტენის დადგენილი წესით მოთავსების შემთხვევაში, სრულად ფარავდა საარჩევნო ბიულეტენზე აღნიშნულ საარჩევნო სუბიექტების მონაცემებს და საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების წინ არსებულ წრეებს. შესაბამისად, სპეციალური ჩარჩო-კონვერტი მოპასუხის განმარტებით არის ხმის ფარულობის უზრუნველყოფის გამოსადეგო საშუალება. ასევე მოპასუხის განმარტებით, 2024 წლის 26 ოქტომბერს, 06:45 საათიდან დასაშვებო საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების შეჯამებამდე, იმ შენობა-ნაგებობებში, სადაც განთავსებული იყო კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნები, გამორთული იყო კენჭისყრის ოთახის, შესაბამისი სართულისა და შესასვლელი ვიდეოკამერები, ხოლო უშუალოდ კენჭისყრის ოთახებში კამერები იყო შეფუთული. სარჩელზე თანდართული ფოტო-ვიდეომასალით, პირველ რიგში ვერ დგინდება შენობა, რომელშიც დამონტაჟებული ვიდეოკამერა წარმოადგენს თუ არა კენჭისყრის შენობას, მითუმეტეს ვერ დგინდება, რომ ფოტო-ვიდეო მასალაზე არსებული არსებული ვიდეოკამერა ჩართულ მდგომარეობაშია. სარჩელზე თანდართული ფოტო-მასალით ირკვევა, რომ ვიდეო-კამერა, რომელზეც მიუთითებს მოსარჩელე, არ არის დამონტაჟებული უშუალოდ კენჭისყრის ოთახში.

## 3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2024 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმეები №3/62-24 და №3/63-24 გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭა №3/62-24.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განჩინება

3.1.2. ააიპ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციი“ 2024 წლის 29 ოქტომბერს საჩივრით



მიმართა №25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიასა და №26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიას რათა მომხდარიყო №25 წალკის ოლქში შემავალი და №26 თეთრიწყაროს საარჩევნო ოლქში შემავალი იმ უბნების შედეგებისა და მათთან დაკავშირებული შემაჯამებელი ოქმების ბათილობა, სადაც არჩევნები ჩატარდა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. №25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიისა და №26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 2024 წლის 31 ოქტომბრის №20/2024 და №29/2024 განკარგულებებით არ დაკმაყოფილდა აღნიშნული საჩივრები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრები
- №20/2024 და №29/2024 განკარგულებები

3.1.3. ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“, ააიპ "საქართველოს მომავლის აკადემიის" და ააიპ "ღია სივრცე კავკასიის" მიერ 2024 წლის 29 ოქტომბერს შეტანილ იქნა საჩივარი №25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომლითაც მოთხოვნილ იქნა №25 წალკის საარჩევნო ოლქში შემავალ №1 და №32 საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების ბათილობა და შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრების დისციპლინური ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. №25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის №18/2024 განკარგულებით ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს უარი ეთქვათ საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივარი
- №18/2024 განკარგულება

3.1.4. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2024 წლის 2 ნოემბრის განჩინებით მოპასუხე №25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალა 2024 წლის 3 ნოემბრის სასამართლოს პროცესზე წარმოედგინა №25-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №1 და №32 საარჩევნო უბნების ჩანაწერთა წიგნები და დალუქული ყუთები, სადაც თავსდება ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამატასტურებელი ქვითრები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განჩინება

3.1.5 თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2024 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილ იქნა ერთი ცალი ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი (2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის სატესტო ვერსია), 20 ცალი საარჩევნო ბიულეტენი



(2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ვერსია), 10 ცალი სპეციალური ჩარჩო-კონვერტი (2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ვერსია), 5 ცალი მარკერი (2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ვერსია).

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განჩინება

3.1.6 2024 წლის 3 ნოემბრის სასამართლოს პროცესზე ააიპ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ დაზუსტებულ იქნა თავდაპირველი შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვდნენ მომხდარიყო №25 წალკის ოლქსა და №26 თეთრიწყაროს ოლქში 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე კენჭისყრის დღეს, ელექტრონულ/ტექნოლოგიურ უზნებზე გამოყენებული დალუქული, ელექტრონული ბიულეტენების დათვალიერება მათი განთავსების ადგილზე (საწყობში), შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული უზნების მიხედვით. დაზუსტებული შუამდგომლობით მოსარჩელემ მოითხოვა გამოთხოვილ ყოფილიყო №25 წალკის საოლქო საარჩევნო ოლქში შემავალი №მე-6, მე-10, მე-16, 32-ე უზნიდან და №26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო ოლქში შემავალ პირველ, მე-14, 22-ე უზნებიდან საარჩევნო ბიულეტენები. ზემოაღნიშნული შუამდგომლობის შესრულება სასამართლომ საოქმო ჩანაწერით დაავალა მოპასუხეებს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა განმარტებები

#### სამოტივაციო ნაწილი

#### 4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და საქმეში არსებული მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელების სარჩელები უნდა დაკმაყოფილდეს.

#### 5. კანონები, რომლებითაც იხელმძღვანელა სასამართლომ

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდგომში- საარჩევნო კოდექსი), საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

#### 6. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გათვალისწინებულია საარჩევნო უფლება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამავდროულად მუხლით



უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პარლამენტი შედგება თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან. შესაბამისად საარჩევნო ფარულობა კონსტიტუციურ დონეზეა აყვანილი. ცხადია, რომ თუ საარჩევნო ფარულობა არ არის დაცული, ამომრჩეველს ერთმევა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, ექცევა წნეხის ქვეშ, რითიც თავისუფალი ნების გამოვლენა ესპობა.

არასადავო და ცხადია, რომ არჩევნები დემოკრატიის საფუძველია. საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, მათ შორის, არჩევნების გზით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით დაცული უფლებაა. საარჩევნო უფლების სრულად განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია არსებობდეს პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების პატივისცემას და ადამიანებისთვის მათ ხელმისაწვდომობას დისკრიმინაციის გამომრიცხველ თანასწორ გარემოში, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების პირობებში. არჩევნების ფარულობის მოთხოვნა ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტს. სახელმწიფოს, ხელისუფლების, ვალდებულებაა, უზრუნველყოს არჩევნებზე ხმის მიცემის ფარულობა, რაც ითვალისწინებს ამომრჩევლების დაცვას ყოველგვარი ზეწოლისა და იძულებისგან, სხვა პირების ნებისმიერი უკანონო ან თვითნებური ჩარევისგან საარჩევნო პროცესში. კენჭისყრის ფარულობა უნდა იქნეს დაცული საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიების სადავო განკარგულებები წარმოადგენენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.





საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

როგორც ცნობილია, ძირითადად საქართველოს საარჩევნო კოდექსი აწესრიგებს არჩევნებში მონაწილეთა უფლებებს, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებას და საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დავების განხილვის წესს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად კი, თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია). თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოში არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის ჩატარების ძირითადი პრინციპებია: კენჭისყრის ფარულობა და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა. ამავდროულად საქართველოში არჩევნები, რეფერენდუმი და პლებისციტი ტარდება ფარული კენჭისყრით, გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა.

საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლით იმპერატიულად აკრძალულია ამომრჩევლის იძულება, დაშინება და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა. აღნიშნული ქმედება იწვევს დამრღვევის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ფარულობის მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ კანონმდებელმა ფარული კენჭისყრის დარღვევის პრევენციისათვის უმკაცრესი სანქცია - სისხლისსამართლებრივი



პასუხისმგებლობა გაითვალისწინა.

საარჩევნო ფარულობას ეხება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი, რომლის მე-3 პარაგრაფით ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუბლებისა; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას, სასამართლო ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად განმარტავს არსებულ მიდგომას, რომ იმის თეორიული დაშვებაც კი, რომ შესაძლოა დარღვეულ იქნას ფარული კენჭისყრის პრინციპი, ამომრჩეველში იწვევს შიშს, რითიც ითრგუნება მისი თავისუფალი ნება. შესაბამისად, ასეთ გარემოში ჩატარებულ კენჭისყრას კანონიერი ლეგიტიმაცია ვერ ექნება.

სასამართლოს სხდომის დარბაზში გამოკვლეული მტკიცებულებების, მხარეების პოზიციებით და საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულია, რომ #25 წალკის საარჩევნო ოლქში შემავალ #32 საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცედურები მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი დარღვევებით. არსებული საჩივრები არ გატარდა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. უფრო მეტიც, სასამართლო სხდომაზე გამოიკვეთა, რომ საუბნო კომისიის შესაბამისმა წევრმა არც იცოდა, რომ პრეტენზიები და საჩივრები უნდა ასახულიყო კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. საუბნო კომისიის თავმჯდომარემ ასევე დაადასტურა მთელი რიგი დარღვევების არსებობა, მათ შორის დამკვირვებლების გარკვეული არასათანადო შეზღუდვები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ საარჩევნო უბანზე არსებულ “დამაბულობას“ ადასტურებს #25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეც, რომლის განმარტებით, ის რამოდენიმე წუთით იყო მისული უბანზე. მან სასამართლოს ვერ განუმარტა, რატომ ვერ მოხდა წარმოდგენილი საჩივრების და პრეტენზიების ასახვა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. მით უფრო, როდესაც საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა ე.წ. „ტრადიციული მეთოდით“, არაელექტრონულად და საჩივრები შეეხებოდა ფარულობის პრინციპის დარღვევას. ამდენად, სასამართლო თვლის, რომ #25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა დაევალოს გაატაროს დისციპლინური ღონისძიებები ცნობილი #25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი #01 და #32 საარჩევნო უბნის შესაბამისი წევრების მიმართ.

სასამართლოს სხდომის დარბაზში გამოკვლეული მტკიცებულებების, მხარეების პოზიციებით და საქმეში არსებული მასალებით, სასამართლოს აქვს რწმენა იმისა, #25 წალკის საოლქო საარჩევნო ოლქში შემავალი შემავალ საარჩევნო უბნებზე (სულ 17 საარჩევნო უბანი) და #26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო ოლქში შემავალი საარჩევნო უბნებზე (სულ 13 საარჩევნო უბანი) 2024 წლის 26 ოქტომბერს ელექტრონული წესით ჩატარებული არჩევნები შეიცავდა ყველა იმ რეალურ საფრთხეს, რომელიც შესაძლოა დაემუქროს კენჭისყრის ფარულობა და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა. გამოკვლეული მტკიცებულებით დადგინდა, რომ გონივრულობის ფარგლებში, უმეტეს შემთხვევებში, შეუძლებელია ამომრჩეველმა წარმოდგენილი ბიულეტენის, მარკერის და ჩარჩო კონვერტის მეშვეობით გამოხატული ნება (გაფერადებული/გაუფერადებული,



მონიშნული/მოუნიშნავი ბიულეტენი) ისე მოათავსოს ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატში, რომ სრულად გამორიცხული იქნეს მისი ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა.

აღნიშნული დადასტურდა სხდომის დარბაზში მხარეების და სასამართლოს მონაწილეობით ჩატარებულ მტკიცებულებათა გამორკვევის პროცესში, როდესაც რამოდენიმე ფარულად მონიშნული საარჩევნო ბიულეტენების სხვადასხვა პირების მიერ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატში მოთავსებისას აპარატთან მდგომი მხარეებისთვის ცნობილი გახდა ბიულეტენის თუ რა ნაწილი იყო გაფერადებული. აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეებს რაიმე სხვა პოზიცია არ გამოუხატავთ. (იხ. სხდომის ოქმი)

სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ცესკოს განკარგულების საფუძველზე, მის მიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ოქტომბრის # 265/2024 განკარგულებით “2024 წლის 26 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო ბიულეტენების ფორმებისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტების, ძირითადი საარჩევნო ყუთისა და მასზე დამონტაჟებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის სახის დადგენის შესახებ” კომისიამ დაადგინა 2024 წლის 26 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების უზრუნველყოფად ფორმები თანდართული ნიმუშების შესაბამისად. სასამართლოსთვის გაუგებარია და ვერც მოპასუხებმა (საარჩევნო ადმინისტრაცია) ვერ განმარტეს იმის თაობაზე, რომ სასამართლოში წარმოდგენილი და არჩევნებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი, ჩარჩო კონვერტი რა ნიშნით (ფერი, ზომა, წონა და ა.შ) შეესაბამება ცესკოს განკარგულებით დამტკიცებულ ნიმუშის ფორმას, სადაც არ არის მითითებული კონკრეტული მახასიათებლები. აღნიშნული შეეხება წარმოდგენილ მარკერსაც. მოპასუხებმა (საარჩევნო ადმინისტრაცია) განმარტეს, რომ ამის აღნიშნული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ოქტომბრის # 265/2024 განკარგულების გარდა ამ საკითხზე პასუხის გამცემი სხვა მარეგულირებელი აქტი არ არსებობს. ასევე ვერ განმარტეს თუ რა წესით მოხდა ნიმუშების და რეალური მასალის შედარება და პრაქტიკაში გამოყენება.

სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ თანამედროვე ეპოქაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული არსებული ტექნოლოგიები და შესაბამისი ციფრული/არაციფრული ტექნიკური საშუალებების შესაძლებლობები. სასამართლო თვლის, რომ სადავო საარჩევნო უბნებზე შესაძლებელი იყო ისე მოწყობილიყო ვიდეო გადაღების საშუალებები, რომ კონტროლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს ჰქონოდა შესაძლებლობა დაეფიქსირებინა მოქალაქის არჩევანი. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ აღნიშნული ძირითადად შეეხება ჩარჩო კონვერტში



მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატში მოთავსების, უკეთეს შემთხვევაში, რამოდენიმე (დაახლოებით 2-5) წამიან პროცესს. აქვე სასამართლო ითვალისწინებს ცეცხკოს დადგენილებით დამტკიცებულ სახელმძღვანელო ინტერუქციის დებულებებს.

აქვე სასამართლო მიუთითებს მხარეების პოზიციების გაურკვეველობაზე, იკვეთებოდა ნიშნები, რომ მოსარჩელე მხარის (ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“; ააიპ "საქართველოს მომავლის აკადემია"; ააიპ "ღია სივრცე კავკასიის") წარმომადგენელი არ იყო დაინტერესებული საბოლოო შედეგით, რაც დასტურდება მისი განმარტებებით (მტკიცებულებების არსებობა და მისი ვერ/არ წარმოდგენა) და შემდგომ სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობით.

ასევე სასამართლოსთვის გაუგებარია საარჩევნო უბანზე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების განმარტებები, როდესაც მათი განმარტებით, დაპირისპირებული პოზიციის სუბიექტები ცალსახად აცხადებდნენ, რომ მათი აზრით, გამორიცხული იყო საარჩევნო პროცედურების დარღვევები. თუმცა ამავე დროს, სასამართლოს მიერ გამოვლენილ იქნა მნიშვნელოვანი საარჩევნო დარღვევები (მაგალითად, #25 წალკის საოლქო საარჩევნო ოლქში შემავალ #01 საარჩევნო უბანზე 14 ხელმოუწერელი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ხელმოუწერელი ქვითარი, ქვითრის ყუთების ლუქების მცდარი ჩანაწერები).

რაც შეეხება მოპასუხეების არგუმენტაციას, რომ საქმეში არ არსებობს კონკრეტული მტკიცებულებები კონკრეტულ საარჩევნო უბანზე და პირების მიმართ ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც არსებობს დასაბუთებული და დადასტურებული მტკიცებულება იმისა, რომ არსებული საშუალებებით (ბიულეტენი, მარკერი, ჩარჩო კონვერტი, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი) რეალურად, პრაქტიკულად შესაძლებელია დაირღვეს კენჭისყრის ფარულობის პრინციპი, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეებს (საარჩევნო ადმინისტრაცია) ეკისრებათ მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად. შესაბამისად. ამდენად, თუ ზემოთაღნიშნული ხმის მიცემის პროცედურით გამორიცხული იყო ფარულობის პრინციპის დარღვევა მოპასუხეებს (საარჩევნო ადმინისტრაცია) შეეძლოთ დაედასტურებინათ ადმინისტრაციული წარმოების დროს (საჩივრის განხილვისას) ან სასამართლო სხდომის დარბაზში, ხოლო თუ ეს ვერ შეძლეს, სასამართლოს დასარწმუნებლად, რომ წალკის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საქართველოს არც ერთი მოქალაქის ფუნდამენტური საარჩევნო უფლება არ იყო შელახული უნდა წარმოედგინათ სარწმუნო მტკიცებულებები (ვიდეო მასალა, საჩივრებზე რეაგირების ამსახველი მასალა და სხვა). ამის საპასუხოდ, სასამართლო სხდომაზე, მოპასუხე მხარეების და მესამე პირების მხრიდან გაკეთებული იყო ტრაფარეტული განმარტებები, სადაც არგუმენტაცია არ იყო თანმიმდევრული და დასაბუთებული.

ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი სრულად არსებობს.

სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კორექტი, მე-4, მე-5, 22-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე,




243-244-ე, 248-ე, 257-ე, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-3, 30-ე, 77-ე, 78-ე, მუხლებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოსარჩელების: ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“; ააიპ "საქართველოს მომავლის აკადემიის"; ააიპ "ღია სივრცე კავკასიის"; ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ სარჩელები მოპასუხეების: #25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის და #26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი #25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2024 წლის 31 ოქტომბრის №18/2024 განკარგულება.
3. ბათილად იქნეს ცნობილი #25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი #32 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები (კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შესაბამისი შემაჯამებელი ოქმი).
4. #25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალოს გაატაროს დისციპლინური ღონისძიებები ცნობილი #25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი #01 და #32 საარჩევნო უბნის შესაბამისი წევრების მიმართ.
5. ბათილად იქნეს ცნობილი #25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2024 წლის 31 ოქტომბრის №20/2024 განკარგულება.
6. ბათილად იქნეს ცნობილი #25 წალკის საოლქო საარჩევნო ოლქში შემავალი - #01; 02; 06; 10; 11; 12; 13; 14; 16; 19; 20; 21; 22; 23; 24; 25; 27 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები (კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შესაბამისი შემაჯამებელი ოქმები).
7. ბათილად იქნეს ცნობილი #26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის 2024 წლის 31 ოქტომბრის №29/2024 განკარგულება.
8. ბათილად იქნეს ცნობილი #26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო ოლქში შემავალი - №01; 02; 03; 14; 17; 19; 20; 21; 22; 27; 29; 30; 33 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები (კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შესაბამისი შემაჯამებელი ოქმები).
9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 (ერთი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის.: ქ.თბილისი, გრ.რობაქიძის გამზ. №7ა) თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მეშვეობით (მის.: ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქუჩა №11).

მოსამართლე



ვლადიმერ ხუჭუა